თანამშრომლობის და გუნდურობის მნიშვნელობა დამოკიდებულებების ფორმირებაში (სსსმ მოსწავლის მაგალითზე)

ნინო ხაჩიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ხაჩიაშვილი

20.06.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა თანამშრომლობის და გუნდურობის გავლენის შესწავლა მოსწავლეების დამოკიდებულებების ფორმირებაში. პრაქტიკის მსვლელობისას უნდა გამოკვეთილიყო როგორ იცვლება მოსწავლეების ურთიერთობა გუნდურობით, მასწავლებლის მიზნობრივი ინტერვენციით, მასწავლებლის არამიზნობრივად დაგეგმილი გაკვეთილი და ქმედება რა გავლენას ახდენს მოსწავლეების დამოკიდებულებებზე და ურთიერთობის ხარისხზე. ასევე კვლევის ამოცანაა, გამოკვეთოს ინტერვენციული პროგრამების ეფექტურობა მოსწავლეების თანაგრძნობის და ემპათიის ჩამოსაყალიბებლად.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო პრაქტიკის მეთოდი, რომელიც აერთიანებდა როგორც თვისობრივ ისე რაოდენობრივ მონაცემებს, ასევე ნახატის ინსტრუმენტს, მოსწავლეების ინტერპერსონალური ურთიერთობების შესასწავლად.

მონაცემების დამუშავებისას გამოიკვეთა გუნდურად მუშაობის პოზიტიური გავლენა დამოკიდებულებების ფორმირებაში. მრავალფეროვანმა ინსტრუმენტებმა კვლევის შედეგები საინტერესოდ წარმოაჩინა. გამოიკვეთა გუნდურობის მნიშვნელობა, მასწავლებლების ერთობლივად მუშაობამ გავლენა იქონია მოსწავლეების დამოკიდებულებების ფორმირებაზე.

საძიებო სიტყვები: დამოკიდებულებები, გუნდურობა, თანამშრომლობა, მეგობრობა, ინტერვენცია

Abstract

The purpose of this paper was to study the influence of cooperation and teamwork in the formation of students' attitudes. In the course of the practice, it was necessary to highlight how the students' relationship changes with teamwork, the teacher's targeted intervention, the teacher's non-targeted lesson, and what effect the teacher's actions have on the students' attitudes and the quality of the relationship. It is also the task of the research to highlight the effectiveness of intervention programs in developing empathy and compassion in students.

Within the framework of the research, a practice method was used that combined both qualitative and quantitative data, as well as a drawing tool, to study the interpersonal relationships of students.

When processing the data, the positive influence of teamwork in the formation of attitudes was revealed. A variety of tools made the research results interesting. The importance of teamwork was highlighted; the joint work of teachers influenced the formation of students' attitudes.

keywords: attitudes, teamwork, cooperation, friendship, intervention

მადლობა

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნინო გოგიჩაძეს გაწეული დახმარებისათვის, რომელიც გამოიჩინა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში. მისი რჩევები და რეკომენდაციები მეხმარებოდა სწორი მიმართულებით მემუშავა კვლევის მიმდინარეობისას. ასევე მადლობას ვუხდი კვლევაში ჩართულ მოსწავლეს,თანაკლასელებს და გუნდს, რომელთაც დამითმეს დრო და დიდი დახმარება გამიწიეს კვლევის ჩატარების პროცესში.